372
1952/2

დილა

„აჰყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№10 ოქტომბერი 1952

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ილია სიხარულიძე

ნახატი გ. ჩირინაშვილისა

ნარინჯები

აგავსებენ მოსავალით
თუ იშრომებ, გაირჯები,
ჩვენი უხვი ნარინჯები,
ჩვენი ნაზი ნარინჯები.

მანდარინი, გრეიფრუტი,
ლიმონი და ფორთოხალი,
დახუნძლული ტოტებიდან
დაგვყურებენ ოქროს თვალით.

შემოდგომით დამწიფდება,
შემოდგომით უნდა ნახოთ,
რა ფერი აქვს, რა სურნელი
და რა გემო იმათ ნაყოფს.

აი, აგერ მკრეფავები
პლანტაციებს მოსდებიან;
ხედავთ ქალებს კალათიანს,
ხედავთ ვაჟებს გოდრებიანს?!

კრეფენ, კრეფა არ თავდება,
დგას ოქროს მთა, ოქროს ხვავი;
რა წარმტაცი სურათია,
რა ლამაზი სანახავი!

აგავსებენ მოსავალით
თუ იშრომებ, გაირჯები,
ჩვენი უხვი ნარინჯები,
ჩვენი ნაზი ნარინჯები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5413

ანდრო ლომიძე

ნახატები ალ. ბანძელაძისა

ძველი მეზღვაური

ნავსადგურში თავი მოუყრიათ სამხედრო ხომალდებს. ზოგი დიდია, ზოგიც პატარა.

სამხედრო კატარღაზე ზის ომგადახდილი ვაჟკაცი, ორდენებით მკერდდამშვენებული შუახნის ბოცმანი, გვერდით უდგას პატარა გივი და მამას ეკითხება:

— მაშ, მამილო, ბაბუას მამაც მეზღვაური იყო?

ნესტორს,—გრძელ, ხშირ ულვაშებში ეღიმება, კეთილი, ზღვისფერი თვალებით უყურებს შვილს და ფიქრობს: მაგრძნობინებს—კიდევ ერთხელ მიამბე ბაბუაშენის თავგადასავალიო.

— მეზღვაური იყო, შვილო.

გივი თვალებში მიაჩერდა მამას, ნესტორმა გივი მუხლებზე დაისვა და უამბო:

— ამ ასი წლის წინათ, 1853 წელს, რუსეთსა და თურქეთს შორის ომი დაიწყო. შემოდგომა იწურებოდა, როცა რუსეთის რვა სამხედრო ხომალდი ღია ზღვაში გავიდა.

შავი ზღვა ღელავდა, იალქნებგაშლილი ხომალდები სწრაფად უახლოვდებოდნენ თურქეთის ნავსადგურს. ნავსადგურში თურქეთის სამხედრო ფლოტი იდგა. იგი ათი ხომალდისაგან შედგებოდა. რუსეთის ხომალდების მეთაურმა, ნიჭიერმა ადმირალმა ნახიმოვმა ბრძანა: ხომალდები ნავსადგურთან გაჩერდნენო.

რუსეთის რვა ხომალდი ნავსადგურთან შედგა.

თურქეთის ნავსადგურში ჩოჩქოლი ატყდა. თურქები გასცქეროდნენ რუსე-

თის ხომალდებს და ფიქრობდნენ: ჩვენს ნავსადგურში ცხვირს ვერ შემოჰყოფენ, ერთხანს იქნებიან ასე და მერე უკანვე მოუსვამენო.

მართლაც, ნავსადგურში იოლი როდი იყო შესვლა. ხომალდების გარდა ნავსადგურს იცავდნენ ნაპირზე დადგმული ზარბაზნები. ნავსადგური ციხე-სიმაგრედ იყო გადაქცეული.

ნახიმოვი ფიქრობდა: ნავსადგურში უნდა შევიდე და ისე გავუმართო ბრძოლა თურქებსო.

გავიდა რამდენიმე დღე. ნახიმოვმა თვალი გადაავლო თავის მეზღვაურებს და გულში თქვა: ასეთი მეზღვაურებით თუნდაც მთელ მსოფლიოს შევებრძოლებიო.

ბრძანება გასცა: ღუზები ამოეკრიფათ და ნავსადგურში შესულიყვნენ. რუსეთის ხომალდები ნავსადგურში რომ შეცურდნენ, თურქები დაფაცურდნენ, შეშფოთებულებმა სროლა ატეხეს. თურქები აჩქარდნენ, ამიტომაც მცირე ზიანი მიაყენეს ჩვენს გემებს; ისიც უნდა გითხრა, შვილო, რომ რუსეთის ხომალდები უკეთ იყვნენ შეიარაღებულნი, ვიდრე თურქებისა. ჩვენი ზარბაზნები ისროდნენ ყუმბარებს, ყუმბარა სკდებოდა და ირგვლივ ყველაფერს ლეწავდა. თურქების ჭურვი თუჯისა იყო და არა სკდებოდა. ჩვენი ხომალდები მიუახლოვდნენ თურქების ხომალდებს, ღუზები ჩაჰყარეს და დინჯად, აუჩქარებლად ააქუხეს ზარბაზნები. თურქების ერთ



ხომალდზე უცებ ცეცხლის სვეტი ავარდა, მეორე ხომალდზე ანძა წაიქცა, მესამეზე ზარბაზანი ყირაზე შედგა და გადატრიალდა, მეოთხე ხომალდს ხანძარი გაუჩნდა.

თურქები თურმე გააფთრებით უშენდნენ იმ ხომალდს, რომელზედაც ნახიმოვი იმყოფებოდა, მაგრამ ნახიმოვს წარბიც არ შეუხრია.

ჩქარა ნავსადგური დენთის კვამლში გაეხვია. ბრძოლა მხოლოდ ოც წუთს გაგრძელდა. თურქების ხომალდები იწვოდნენ. ალმოდებულ ხომალდებიდან თურქები წყალში ცვიოდნენ და ნაპირისაკენ მიცურავდნენ. ცეცხლი ხომალდის დენთის საწყობს რომ მიაღწევდა, უცებ უშველებელი ალი გამოჩნდებოდა, მერე გუგუნი გაისმოდა და თურქების დამსხვრეული ხომალდი იძირებოდა.

ფეხში დაჭრილი თურქების ადმირალი ოსმან-ფაშა, ციხე-სიმაგრის უფროსი და სხვები დაატყვევეს ჩვენებმა. თავს უშველა მხოლოდ მხდალმა ინგლისელმა მეზღვაურმა, რომელიც თურქების ერთ-ერთი ხომალდის უფროსი იყო. ბრძოლა რომ დაიწყო, მან მაშინვე ღია ზღვას მიაშურა და თურქები მიატოვა.

მამაცმა რუსმა მეზღვაურებმა მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი. რუსეთის ერთ-ერთ ხომალდზე ზარბაზნის მსროლელად ბაბუაჩემი ლევანიც მსახურობდა. ნახიმოვმა მასაც გამოუცხადა მადლობა.



ირაკლი აბაშიძე

ნახატები რ. ცუცქირიძისა

რა სურვილიც მქონდა გულში

რა სურვილიც მქონდა გულში,
წელს ამიხდა, ამ ზაფხულში.
აქვე გეტყვით, განა მიჯირს
ახლა მისი გასხენება?!
სკოლაში რომ გამოცხადდა
საზაფხულო დასვენება,
ველებზე რომ სიმწიფეში
შედიოდა ბურის ყანა
სწორედ მაშინ მე და დედა
მამამ სკრაში წაგვიყვანა.
რა ეოფილა კალოობა!
მოვიჯერე კიდეც გული,
სწორედ გითხრათ, არ მენახა
შრომა ასე დიდებული.
ხომ გინახავს კომბაინი,
ეს ზღაპრული საოცრება,
მკაში მათი შეჯიბრება,
გასწრება და გამოსწრება?!
იდგა სიცხე, თითქოს მართლა
ცეცხლის ალი სწვავდა იქლისს,
ველს გუგუნი აფხიზლებდა
„სტალინელი“ კომბაინის.
მოდიოდა მოსავალი,
იმკებოდა ბურის ყანა,
მამამ ველზე გამიყოლა,
კომბაინთან მიმიყვანა.
ჩვენი კარის მეზობელი,
ჩვენი შაქრო კობაიძე,
წელში მარჯვედ გამართული
საჯეს უჯდა კომბაინზე.
დარეოდა მწიფე თავთავს,
ველზე ჰქუხდა, ველზე ქროდა,
ამთავიდან — იმთავამდე
გაჰქონდა და გამოჰქონდა.
სახე ჰქონდა მზით დამწვარი,
თვალი როგორც ფეხმარდ ირემს,
გადმომძახა: — ,,გაუმარჯოს
ჩვენს მომავალ კომბაინერს“.
რა ეოფილა კომბაინი,
განა ალწერს კაცის ენა!
მკის და ლეწავს ორივ მხარეს
მარჯვნისკენ და მარცხნისკენა.
თითქოს ჰქონდეს ორი ხელი,
თითქოს ჰქონდეს მკლავი
წეკილი,
მარჯვნივ თავთავს ჩაიბღუ-
ჯავს —
მარცხნივ ცვივა გალეწილი.

ასე მალე იღებს იგი
თვალუწვდენელ ჰურის ყანებს,
მერე ავტო კოლექტივის
ბელლებისკენ მიაქანებს.
რა სურვილიც მქონდა გულში,
წელს ამიხდა, ამ ზაფხულში...
გული მკისკენ ისწრაფოდა,
მუდამ მკისკენ მქონდა თვალი...
მკაში ვიყავ, ფიცხელ მკაში,
ვნახე დიდი მოსავალი.
მკა დამთავრდა, ჭირნახული
დაბინავდა ბევრზე ბევრი,
ეს ზაფხულიც გაილია,
კარს მოგვადგა სექტემბერი.
შორს, შორს, მთებზე ჩამოთოვა,
ყვითლდებოდა მთა და ბარი,
სადაც იყო დარეკავდა,
მოგვიხმობდა სკოლის ზარი.
სკოლის ზარი, საამური
საყვარელი სკოლის ზარი...
მამამ ჩაგვსხა მანქანაში
თბილისისკენ დავიძარით.
ვშორდებოდი ძვირფას სოფელს,
ჩემს ტოლ ბიჭებს, ჩემს ტოლ
ბალღებს,
გულდაწყვეტით გავცქეროდი
დამწიფებულ ხილის ბაღებს.

ტოტებიდან მომძახოდა
მწიფე ვაშლი, მწიფე მსხალი,
ლოყაწითელ გორულ ატამს
ედებოდა ცეცხლის ალი.
ბაღს ავსებდნენ სურნელებით,
აქანებდათ ნელი სიო,
ყველა ერთად მომძახოდა: —
ჩვენც ჩამოვალთ ქალაქშიო...
შინ დავბრუნდი ბედნიერი,
ჯანით მრთელი, გულით
მრთელი,
ახლა ძლიერ, ძლიერ მსურდა,
რომ მენახა ზვარში რთველი.
მან იკითხოს ვინც სკოლაში
საბეჯითოდ არ მისულა...
მამამ კარგი სწავლისათვის
ეს სურვილიც ამისრულა.
მოგრიალდა კოხტა ავტო,
(დავიღლები გზაში განა!)
და კვირა დღეს მამამ სოფლად
სულ გუგუნით გამაქანა.
გამაქანა კარდანახში,
უცებ მოვხვდით შუა რთველში.
რთველი, რთველი რა ეოფილა
ნეტავ იყოს ყოველ თვეში!
ვასს ეურძენი ამძიმებდა
დათაფლული, დაშაქრული,
მის უკეთესს რას იხილავ,
რას ინატრებს აბა, გული!

ეურძენს კრეფდნენ გამალებით,
ძლივძლივ სძრავდნენ გოდრებს
მხრებით,

სულ ჰირამდე ივსებოდა
მარნები და საწნახლები.
ეველას ჰქონდა საზრუნავი,
ეველას, დიდს თუ ჰატარასა,
ეურძენს კრეფდნენ, ამზადებდნენ
ჩურჩხელას და თათარასა.
რა სურვილიც მქონდა გულში,
სულ ამიხდა, ამ ზაფხულში...
მკაშიც ვიუავ, რთველიც ვნახე,
დიდ მოსავლის ვნახე ხვავი,

ახლა ერთი სურვილიც მაქვს,
ერთი რამ მაქვს სანახავი;
მინდა მზიურ აჭარაში
სეზე ვნახო ჩემის თვალით, —
ოქროსფერი მანდარინი,
ოქროსფერი ფორთოხალი.
მაგრამ არა. წელს ეს კმარა,
გაისამდე ასე გავძლოთ,
ვიცი, მამა ბევრ ფორთოხალს
ჩამომიტანს საახალწლოდ...
რა სურვილიც მქონდა გულში,
წელს ამიხდა, ამ ზაფხულში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივანე ურჯუმელაშვილი

ნახატები ალ. გიგოლაშვილისა

ჰამალის გასამრჯელო

ფეხშიშველა, მოკლე შარვლის ამარა ჰამალი ანკარის*) ერთ-ერთი ვიწრო ქუჩით სახლისაკენ მიაბიჯებდა. დღეს მთელი ქალაქი შემოიარა ამ პატარა ბიჭმა. სად არ იყო, ვის არ სთხოვა სამუშაოზე მიმიღეთო, მაგრამ ყველამ უარი უთხრა. ლიპიანი მედუქნეები ერთსა და იმავეს ამბობდნენ ჰამალზე: ძლივს დალასლასებს, თან ისეა გამხდარი, რომ ნეკნები უჩანს. აბა, რა სამუშაოს შესძლებსო.

მესამე დღეა ჰამალს ლუკმა არ ჩაუდვია პირში, შიმშილით თვალები უჭრელდება და მუხლები ეკეცება.

რა ჰქნას, როგორ მოიქცეს, იმათხოვროს?! არა, ჰამალს ეს არ შეუძლია. მშიერი მოკვდება, მაგრამ მოწყალებისათვის ხელს არავის გაუშვერს. დღეს რაღა იქნება, საცაა დაღამდება. დილაზე კი მთელ ქალაქს შემოივლის. მისი მამაც ხომ თვეობით დაეძებდა სამუშაოს. რა ბოროტები არიან პოლიციელები. ისინი ღამით მიუცვივდნენ სახლში, მამას ხელ-ფეხი შეუკრეს და ძალით სადღაც წაიყვანეს. ჰამალმა დედისაგან გაიგო მამის დაპატიმრების მიზეზი,—მამას უარი უთქვამს კორეის წინააღმდეგ ომში წასვლაზე.

ნეტავი სად არის მამა?! ამას წინათ ჰამალს ძილში დედის ტირილი შემოესმა. ნუთუ მამა ცოცხალი აღარ არის! ნეტავი ერთხელ კიდევ აჩვენა თვალით საყვარელი მამა; როგორ მოეხვევა, როგორ დაუკოცნის ყელს, თვალებს... დედა მაინც არ გამხდარიყო ავად. ავადმყოფობით და შიმშილით ისეა დასუსტებული, რომ ფეხზე წამოდგომა უძნელდება. გუშინ ექიმის მოყვანა უნდოდა ჰამალს. რამდენიმე ექიმთან იყო კიდეც, მაგრამ უფულოდ აბა, ვინ გაჰყვებოდა!

ჰამალმა ნაბიჯს აუჩქარა. მივა, მიხედავს დედას; იქნებ გუშინდელივით დედა საწოლზეა წამომჯდარი, აცრემლებული თვალებით ფანჯრიდან გასაცქერის გზას და შვილის ლოდინში გული ელევა.

ცოტა გზა-ღა დარჩა სახლამდე. კიდევ ერთი შესახვევი და მათი ქუჩაც გამოჩნდება.

ჰამალმა შესახვევთან თვალი მოჰკრა გაჩერებულ მანქანას, რომელსაც მძღოლი ჩაპკირკიტებდა. მანქანიდან გადმოვიდა მაღალი კაცი, ორი ჩემოდანი ქვაფენილზე დადო და აქეთ-იქით დაიწყო ყურება. ეტყობოდა სადღაც აგვიანდებოდა.

*) ანკარა—თურქეთის დედაქალაქი.

„ეს კაცი ამერიკელია, თურქეთში ჩამოსული ამერიკელები კი ყველა მდიდრები არიან; იქნებ ჩემოდნები წამაღებინოს და ცოტაოდენი ფული მომცეს“ — გაიფიქრა ბიჭუნამ და უცნობთან მივიდა.

— ძია, ჩემოდნებს წაგიღებ, გასამრჯელო რამდენიც გინდა, იმდენი მომეცი.—უთხრა ჰამალმა ამერიკელს.

ამერიკელმა ჰამალი ცალი თვალით შეათვალიერა.

— მხოლოდ ორივე ჩემოდანი უნდა აიკიდო, გესმის ბიჭო! ხურდა ფულს მოგცემ.—უთხრა მან მკაცრად.

ჰამალმა ძველი ქამარი შეიხსნა, ქამრის ერთი წვერი ერთი ჩემოდნის სახელურს შეაბა, ხოლო მეორე ეკიდებინა. სას. შემდეგ ჩემოდნების შუა შემოვრა, ქამარი ზურგზე მოიგდო და წამოდგომას შეეცადა, მაგრამ ვერ შესძლო. მეორედაც შეეცადა ჩემოდნების აწევას, მესამედაც, მაგრამ ვერ მოახერხა ფეხზე წამოდგომა.

ამერიკელი განზე იდგა, სიგარეტს აბოლებდა და ისე შეჰყურებდა ჰამალს, თითქოს რაიმე სასიამოვნო სანახაობას უცქერისო.

ჰამალი იმის შიშით, რომ ვაითუ ამერიკელმა ჩემოდნები აღარ წამაღებინოსო, ერთ წამსაც არ ჰკარგავდა: ხან ერთ მხარს შეუგდებდა ტვირთს, ხან მეორეს. მთელ ძალღონეს იკრებდა, მაგრამ მაინც ვერ ერეოდა.

— ძია, ხელი მაინც ამიკარი, ერთი ფეხზე წამოვდგე და მერე მე ვიცი.

— თუ ფული გინდა, წაიღე, არ შეგიძლია და—ჰაიდა! — თქვა ამერიკელმა და ჰამალს, თითქოს უღელში შებმული პირუტყვი ყოფილიყოს, კისერზე ჯოხი წასცხო. ტკივილისაგან ჰამალს თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა. ამერიკელს ზიზღით შეხედა, მუხლის თავებზე წამოდგა, თავს ძალა დაატანა და როგორც იყო ფეხზე წამოიმართა.

ნეტავი დაგენახათ პატარა ჰამალი. წელში ოთხად იყო მოხრილი. სახსრები სტკიოდა, ფეხები ეკეცებოდა, მხარი ჯერ ეწვოდა, შემდეგ გაუბრუვდა. ძალიან უძნელდებოდა ტვირთის ტარება, მაგრამ გზას მაინც განაგრძობდა. იმის გაფიქრებაც კი, რომ თავის გასამრჯელოთი ავადმყოფ დედას პურს ან რძეს უყიდდა, ძალ-ღონეს მატებდა ბავშვს და სიმძიმეს უმსუბუქებდა.

ამერიკელი ჯოხის თამაშითა და სიგარეტის ბოლებით უკან მისდევდა, თანაც ეუბნებოდა:

— ჩქარა იარე, ჩქარა, არ დამაგვიანო.

დიდი გზა არა ჰქონდათ გასავლელი, მაგრამ ჰამალს ისე მოეჩვენა, თითქოს

მთელი დღის სავალი ყოფილიყოს რკინიგზის სადგურამდე.

— აქ დააწყვე! — უთხრა ამერიკელმა მთლად ოფლში გაწურული ჰამალს და ბარგის შესანახი ოთახის შესავალთან შეჩერდა. ჰამალს ეგონა, რომ ტვირთს მხრიდან ადვილად ჩამოიღებდა, მაგრამ არც ეს იყო იოლი საქმე.

— ძია, ჩემოდნების ჩამოხსნა მაინც მიშველე! — შეეხვეწა ჰამალი ამერიკელს, მაგრამ ის განზე იხედებოდა, თითქოს ბავშვის ნათქვამი არ გაეგონოს.

უცებ სიმსუბუქე იგრძნო ჰამალმა; ვიღაცის ღონიერმა ხელმა მას ზურგიდან მძიმე ტვირთი მოხსნა და ძირს დადო.

ჰამალი შეტრიალდა, მის წინ მტვირთავი მუშა იდგა და სიბრალულით დაჰყურებდა ბიჭუნას.

— გმადლობ, ძია, — თავისდაკვრით უთხრა მას ჰამალმა.

— დიდი კაცი გაიზარდე, შვილო, — მიუგო მუშამ და ნელი ნაბიჯით რკინიგზის ბაქნისაკენ წავიდა.

ამერიკელმა ჩემოდნებს ქამარი შემოხსნა და ჰამალს გადაუგდო. ჩემოდნები ბარგის შესანახ ოთახში ჩააბარა. შემდეგ სიგარეტს მოუკიდა.

ჰამალი ამერიკელს წინ დაუდგა, ფულის ჩუქებას ელოდებოდა, მაგრამ ამერიკელი გვერდზე შეტრიალდა, თითქოს ვერავის ხედავსო.

— ძია, — უთხრა ჰამალმა მორიდებით, — ჩემი გასამრჯელო მომეცი.

კისერწაგრძელებული ამერიკელი მოედნისაკენ იცქირებოდა და ბავშვს პასუხს არ აძლევდა.

ჰამალმა კიდევ გაუმეორა თხოვნა, მაგრამ ამერიკელმა პასუხი კვლავ არ გასცა.

— გესმის თუ არა, ძია, ფულს მომეცი! — რაც ძალა და ღონე ჰქონდა — შესძახა ბავშვმა და მკლავზე მოებღაუჭა.

— რა ფულს თხოულობ?

— იმას, რაც მერგება.

— აჰა, შენთვის ესეც საკმარისია! — თქვა ამერიკელმა და ჰამალს სანახევროდ მოწეული სიგარეტი გადაუგდო.

— შენთვის უფრო საჭიროა ეს მყარალი ნამწვავი! — შესძახა ჰამალმა და სიგარეტი სახეში ესროლა.

— თავს დამესხა, დააკავეთ ეგ არამზადა! — დაიყვირა ამერიკელმა და თვალზე ხელი მოისვა. ჰამალი კი მკვირცხლად გაიქცა. დაწევით ვინ დაეწეოდა, მაგრამ მოედნის ბოლოს თურქმა პოლიციელმა გზა გადაუჭრა და კისერში ხელი წაავლო.

ჰამალი გასხლტომას შეეცადა, მაგრამ პოლიციელი მაგრად უჭერდა ხელს, შემდეგ ბავშვს ყურში ხელი წაავლო და ისე მაგრად აუწია, რომ კინალამ ყური ააცია.

— ვაიმე, დედა, მიშველე, დედა! — გაიძახოდა ატირებული ჰამალი და ორივე ხელს გასისხლიანებულ ყურზე ისვამდა.

— შე ლაწირაკო, ახლა ხომ გეცოდინება, თუ ვის როგორ უნდა მოექცე! — დაუყვირა პოლიციელმა ქვაფენილზე ჩაკეცილ ჰამალს და ფეხი მუცელში ჩასცხო...

ძლივს წამოდგა ჰამალი ფეხზე. თურქი პოლიციელი უკვე ამერიკელის წინ გამოჭიმულიყო. გარკვევით დაინახა ჰამალმა, თუ როგორ ამოიღო ამერიკელმა ჯიბიდან ფული და პოლიციელს აჩუქა.

— დაიცადე, ამერიკელო, გავიზრდები, სამაგიეროს გადაგიხდი! — ჩაილაპარაკა ჰამალმა და ატირებული სახლისაკენ წავიდა.



ხუბა ბერულავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზეონას სიმღერები

როცა კარგად გათენდება...

როცა კარგად გათენდება,
რვა საათი შეიქნება,
დედის ძახილს როდი ვუცდი,
მე თვითონვე მეღვიძება.

მე თვითონვე წამოვდგები,
თქვენ გგონიათ დედას ველი?
კარგად ვიცი სად აწყვია
ფეხსაცმელი, ტანსაცმელი.

ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!..
რაო, რაზე გეცინებათ?!
თუ კი ოდნავ შევგვიანდი,
მასწავლებელს ეწყინება.

თავის დროზე ვინც არ წვება,
იგვიანებს იგი მუდამ,
მე კი არ მსურს დამიძახონ
ზარმაცი და ძილისგუდა!

დილის ვარჯიში

რა სჯობია დილის ვარჯიშს:
— ერთი, ორი, სამი.
მუდამ ფხიზლად უნდა იყო,
არ დაჰკარგო წამი.

ხელებს სწრაფად ვატრიალებ,
— ერთი, ორი, სამი.
მე ჩემს სხეულს მეგობრებო,
გავიკაჟებ ამით.

ფეხებს მარჯვედ ვამოძრავებ,
— ერთი, ორი, სამი.
უჰ, რამდენი ვივარჯიშეთ,
შევისვენოთ მამი!

ნახატები **რ. სტურუასი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ ჩხაიძე

ნახატები ვ. ჯაფარიძისა

ცივწყალა

ძლიერ შვენოდა მდინარე ცივწყალას მის გულზე საცალფეხო ხიდით გადაწოლილი დიდი შრიალა ხე. ტკბილად ცხოვრობდნენ ისინი, სანამ ნაპირზე საზომებით და სხვადასხვა სამშენებლო იარაღებით აღჭურვილი ადამიანები მოვიდოდნენ. ერთს, ყველაზე ახოვან ვაჟკაცს მკერდზე ოქროს ვარსკვლავი უბრწყინავდა. სწორედ ის ვაჟკაცი იყო რომ თქვა:

— აქედან არხი უნდა გავიყვანოთ. ტრამალზე ტყეები გავაშენოთ. უდაბნოს წყურვილი მოვუკლათ!

— არის! — შესძახეს დანარჩენებმა.

არ გაუგონია ეს სიტყვები ცივწყალას, ან კიდეც რომ გაეგონა, განა მიხვდებოდა? სამაგიეროთ ის კი ნახა, რომ შრიალა ხე ამოთხარეს და წაიღეს. აღრიალდა ცივწყალა, მაგრამ ყური ვინ უგდო.

შეწყდა წისქვილში მეწისქვილე ნიკოს „ინდი-მინდის“ ღიღინიც.

— უდაბურ ველზე ელექტრონის წისქვილს აშენებენ და იქ მიმიწვიეს! — უთხრა ერთ დღეს ცივწყალას მეწისქვილემ, ხელ-პირი ცივი წყლით დაიბანა, პაპისეული ჭრელი ხურჯინი მხარზე გადაიგდო და გზას გაუდგა.

მეთევზე ყმაწვილებმაც აიღეს ცივწყალაზე ხელი, — იმათაც საქმე გაუჩინა ოქროს ვარსკვლავიანმა.

იმ დღის შემდეგ ცივწყალას ისინი აღარ უნახავს.

მხოლოდ ავტო-მანქანები დარბოდნენ ახალ ხიდზე; საშენ მასალას მიეზიდებოდნენ, მწვანე ნერგებს მიაშრიალებდნენ. გაბრაზდა ცივწყალა, ისე ძლიერ გაბრაზდა, რომ ქვები აახრიალა: არც ნიკო ჰყავდა, არც მეთევზე ბიჭუნები, არც საყვარელი შრიალა ხე. ამბავი მაინც გავიგოო, — დუდუნებდა და ერთხელ ნაპირზე მოსული ნიშა ხარს შეეკითხა: შრიალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ არსად შეგხვედრიაო, მაგრამ პასუხის ნაცვლად ნიშამ თქვა:

ჩემს მაგივრად მიწას რკინის ხარს — ტრაქტორს ახვნევინებენო, — და ბოლმიანი გული ცივი წყლით გაიგრილა. ვერ გაიგო ცივწყალამ მეგობრების ამბავი, მაგრამ ის კი გაიგო, რომ მეგობრების დაკარგვა ნაპირზე მომუშავე ხალხის ბრალი იყო.

დაიცადეთ, ჩამივარდებით ხელში, მე ვიცი თქვენიო, — ემუქრებოდა მშენებლებს და სიბრაზისაგან ისე სივდებოდა, რომ კალაპოტში ვეღარ ეტეოდა.

ერთხელ, კოკისპირული წვიმის დროს, ისე ადიდდა, რომ გვირაბში შეუვარდა მშენებლებს, კედლები ჩამოანგრია, მორევი დაატრიალა და ომი გამართა.

რაც უფრო უძალდებოდათ მდინარე, მით უფრო ეძალებოდნენ და იმორჩილებდნენ მას მშენებლები. ერთ მშვენიერ დღეს სავალი გზა ჩაუკეტეს და ჩასძახეს: სადაც შენი თქვა, იქ ჩვენიც არ დაგავიწყდესო.

ცივწყალა აქეთ ეცა, იქით ეცა, ახტა-დახტა, ვერას გახდა, და, ბოლოს, არხს ახალი მიწებისაკენ გაჰყვა.

მხურვალე ტაშით მიაცილებდნენ ცივწყალას, გზას ულოცავდნენ, ვარდ-ყვავილებს და ვაზის ფოთლებს ატანდნენ: მოსავალი გვიმრავლეო, — მისძახოდნენ.

არაფერსაც არ გიმრავლებთ, ტოლ-მეგობრებს მოწყვეტილი დარდისაგან გავშრებიო, — მიდუდუნებდა ცივწყალა და სიცხისაგან დახეთქილ, ტრიალ მინდორზე მიედინებოდა.

უცებ გზაზე ხე შემოხვდა, აშოლტილი, ტანმაღალი და სიამით გული აუტოკდა ცივწყალას.

— შრიალა ხომ არსად გინახავს?! — უნდოდა ეკითხა, მაგრამ სათქმელი უთქმელი დარჩა, ის ხე ხომ შრიალა იყო! განა მხოლოდ ის, უჰ, რამდენი ხეები ეგებებოდნენ მხიარულად. წყალი მოდის, წყალი მოდის! შარიშურობდნენ ისინი მორცხვად და ცივწყალას მოწიწებით თავს უკრავდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაუხარდა ცივწყალას, ხეებს ფესვებზე შემოევლო, მოუკლა წყურვილი და ნაბიჯს უმატა.

იარა, იარა. ვნახოთ ერთ მოსახვევში, ერთმა ბიჭუნამ ანკესი სტყორცნა და კალმახი ოსტატურად დაიჭირა.

გოგი ხომ არა ხარ? — უნდოდა ეკითხა მზით გარუჯული ყმაწვილისათვის, მაგრამ სიხარულით შეხტა და ტალღები შეათამაშა, — ის ბიჭი ხომ გოგი იყო! და განა მხოლოდ გოგი! — ყველა ნაცნობი ყმაწვილი იქ დაუხვდა.

— წყალი მოდის, წყალი მოდის! ჩვენც გაგვახარებს და ჩვენს მიერ დარგულ ხეებსაც! — გაიძახოდნენ ისინი და ცივწყალას ზვირთებში ჭყუმპალაობდნენ. უფრო ძლიერ გაუხარდა ცივწყალას, უფრო უმატა ნაბიჯს. იარა, იარა, უცებ „ინდი-მინდის“ ღიღინი მოესმა.

ნიკო ხომ არსად გინახავს, — უნდოდა ეკითხა ახალი, კოხტა შენობიდან გამოსული მოხუცისათვის, მაგრამ შეკითხვა ველარ მოასწრო, ის ბერიკაცი ხომ ნიკო იყო.

— აბა, ცივწყალავ, შენებურად დატრიალდი, რომ ჩვენმა ელექტროწისქვილმა ჩვენთან ერთად მხიარულად იღუღუნოს! — ღიმილით უთხრა ნიკომ და ალერსიანად გააყოლა თვალი.

განა მხოლოდ ნიკო ნახა იმ ახალსოფელში! მისი ძველი ნაცნობები იქ დასახლებულიყვნენ, ფართო კარ-მიდამოში ხეხილი ჩაეყარათ და არხებში მოკამკამე ცივწყალას ცივ მკერდზე ხელებს უტლაშუნებდნენ. გაუხარდა ცივწყალას ხალხის დანახვა, ისე ძლიერ გაუხარდა, რომ შეხტა-შეითამაშა და ნაბიჯს უფრო უმატა.

იარა, იარა, ტრამალი სამჯერ შემოიარა და ვინ მოთვლის, რამდენს ივლის, სანამ მზისაგან გადამწვარ ველ-მინდვრებს წალკოტად გადააქცევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკვის შემდეგ

ნახატი ალ. ვეფხვაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალეკო შენგელია

ნახატი შ. ცხადაძისა

შემოდგომა

შორს, შორს ახალდათოვლილი
თეთრნაბადა მთები მოჩანს,
გადაყვითლდა ტყე და ველი
და ოქროსფრად შეიმოსა.

ბარაქიან შემოდგომას
დაუქარგავს ბაღ-ვენახი,
ტყე გუგუნით იმეორებს
ტკბილ სიმღერას, ლაღ შეძახილს.

შეისწორეს ფრთა ფრთოსნებმა,
სამხრეთისკენ წასვლის დროა.
მთიდან თოვლი იმუქრება:
„ბარშიც მოვალ!“ „ბარშიც მოვალ!“

5413

ირაკლი გოცირიძე

ნახატი გ. ფოცხიშვილისა

კენგურუ

დილით ზოოლოგიურ ბაღში ხმა გავრცელდა: ახალ ცხოველს მოიყვანენო. შუადღემ მოაღწია. ზოოლოგიური ბაღის მკვიდრებს მოუთმენლობა დაეტყოთ. ნადირები ცნობისმოყვარეობით მოელოდნენ სტუმარს.

უცებ ხის კენწეროზე შემომჯდარმა არწივმა დაიყვირა:

— მოჰყავთ! მოჰყავთ!

ზოოლოგიური ბაღის ეზოში ავტომობილი შემოვიდა. მას უკან ვეებერთელა რკინის გალია ჰქონდა გამობმული, რომელშიც უცხო ცხოველი იყო.

ამ ცხოველს თავი, მკერდი და წინა ფეხები ძალიან პატარა ჰქონდა, სამაგიეროდ უკანა ფეხები და კუდი უზარმაზარი. გაწვრთნილი ძაღლივით იჯდა და წინა ფეხები მკერდზე დაეკრიფა.

— ერთი უყურეთ, როგორ სასაცილოდ ზის!—ჩაიხითხითა ულაზათო ბეჰემოტმა.

— ნამდვილ სამფეხს ჰგავს კუდზე და უკანა ფეხებზე წამოსკუპებული.— დაუკრა კვერი ჟირაფმა.

— ეს ხომ კენგურუა! — სიხარულით დაიძახა გარეულმა ძაღლმა დინგომ და გალიის ბადესთან მივარდა.

— ეი, ძმობილო, რა ამბავია ავსტრალიაში?!

კენგურუ არავის აქცევდა ყურადღებას. იგი გამეტებით იქნევდა თავს, კანკალებდა და პირიდან ქაფი ჩამოსდიოდა.

— ისე ჰყავთ მიჯაჭვული, ეტყობა დიდი გულადი ვინმეა.—თქვა ზებრამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— გულადი კი არა, მშიშარაა, — გაუსწორა დინგომ და განაგრძო: — მე მას კარგად ვიცნობ. ის ჩემსავით ავსტრალიაში ცხოვრობს. კენგურუსთანა ფრთხილი გარეული ცხოველი იშვიათია. სანამ გალიაში ყოფნას მიეჩვეოდეს, შიგვე უნდა დააბან, თორემ შიშით ხტუნვას დაიწყებს, თავს გაიტეხს და მოკვდება. აი, ახლა თავს რომ იქნევს და ყურებს აპარტყუნებს,—ესეც შიშით მოსდის.

კენგურუ მთელი დღის განმავლობაში შიშისაგან კანკალებდა. ხანდახან ღონივრად გაიწევდა, ახტომა უნდოდა. გულკეთილ თეთრ დათვს ძლიერ შეეცოდა ეს ფრთხილი ცხოველი.

— ნურაფრის გეშინია, ძმობილო, — უთხრა მან კენგურუს.—ამდენ ცხოველებსა და ფრინველებში არავინ არის უკმაყოფილო აქ ყოფნით. ჩვენი მომვლელები ზრუნვასა და ყურადღებას არ გვაკლებენ!

იმ გალიის კარებს, რომელშიც კენგურუ გადაიყვანეს, ფიცრის პატარა დაფა მიაკრეს წარწერით, რომელზედაც მნახველმა ბავშვებმა წაიკითხეს: „ძუძუმწოვართა ჩანთოსანი წარმომადგენელი, გიგანტი კენგურუ“.

— ჩანთოსანო, ჩანთოსანო! — გაისმა თუთიყუშის დამცინავი ხმა.

— მერე და რა არის აქ სასაცილო!— თქვა ნაწყენმა კენგურუმ, — ჩანთოსანს იმიტომ მეძახიან, რომ შვილს ვზრდი ჩანთაში.

— ამის გამგონე მაიმუნი გაკვირვებისაგან კინაღამ საქანელადან გადმოვარდა.

— როგორ თუ ჩანთაში ზრდი? — ერთხმად იკითხა რამდენიმე ცხოველმა.

— თუ გაინტერესებთ, გიამბობთ ჩემს შესახებ.—თქვა ჩანთოსანმა და იქ მყოფთ გადახედა.

— გვიამბე, გვიამბე!

ფრინველები დირეებზე და ხის ტოტებზე ჩამოსხდნენ, ცხოველებმა თავიანთი გალიების ბადესთან მოიკალათეს. ყველა მოსასმენად მოემზადა.

— ჩემს სამშობლოში, ავსტრალიაში, —დაიწყო კენგურუმ,— სხვადასხვა სახის კენგურუები ცხოვრობენ. ზოგი კურდღელივით პატარაა, ზოგი კი ჩემსავით მაღალია. ჩვენ მინდვრებში ჯოგად ვცხოვრობდით, გადავდიოდით ერთი ადგილიდან მეორეზე, ვძოვდით ბალახს, ვჭამდით ხის ქერქს, კვირტებს, ნაყოფს...

გაზაფხულზე ერთი შვილი მეყოლა. მისმა სიპატარავემ გამაოცა: ერთ გოჯზე ცოტა მეტი თუ იქნებოდა, არც ხელები აჩნდა და არც ფეხები.

— შენც ასეთი პატარა იყავი?—გაოცდა ზებრა.

— რა თქმა უნდა. ახლა ორ მეტრზე მაღალი ვარ, დაბადებისას კი სამი სანტიმეტრი ძლივს ვიქნებოდი. შვილებს რვა თვის განმავლობაში ჩანთით ვატარებთ.

— მერე და ეს ჩანთა სადა გაქვს? — ჰკითხა მაიმუნმა.

— აი,— და კენგურუმ ყველას უჩვენა თავისი მუცლის ჩანთა. — ამ ჩანთაში ჩავსვი ჩემი შვილი.—განაგრძო მან,—ის იმდენად უსუსური იყო, რომ ძუძუზე პირით მიკრულს, რძის წოვაც კი არ შეეძლო, რძე თვითონ ედინებოდა პირში. ასე იყო თითქმის ხუთი თვის განმავლობაში.

— რას ამბობ!—წამოიძახა ჟირაფმა,— ჩემი შვილი დაბადებიდან ათი საათის შემდეგ სირბილს იწყებს და როგორ შეიძლება პატარა კენგურუმ ამდენი ხნის განმავლობაში ძუძუს წოვა ვერ მოწყალოს?

— ცხოველებში ყველაზე ნელა ჩვენი შვილები ვითარდებიან, — უპასუხა კენგურუმ.

— შემდეგ, შემდეგ, გვიამბე!—ჩაერია საუბარში მაიმუნი, და კენგურუმ განაგრძო:

— ექვსი თვის რომ გახდა, ჩემმა შვილმა ჩანთიდან თავი ამოჰყო. მე შემეშინდა, რომ არ გადმოვარდნილიყო და დავტუქსე. მან ფეხებიც ამოაპარა. რაც დრო გადიოდა პატარა კენგურუ უფრო ეშმაკდებოდა.ბოლოს ჩანთიდან ამოხტომაც დაიწყო, მაგრამ ჩემგან შორს წასვლას ვერ ბედავდა. თუ შეეშინდებოდა, ხტუნვა-ხტუნვით ჩემთან მოვარდებოდა და თავდაყირა ჩანთაში ჩაეშვებოდა. იქ კი აბა, რა შეაწუხებდა. მე სმენა ძალიან განვითარებული მაქვს და მტრის მოახლოებას შორიდანვე ვიგებ, სირბილშიც ძნელად თუ ვინმე დამეწევა. ბოლოს ჩემი შვილიც წამოიზარდა და უკვე სირბილი შეეძლო.

ერთხელ ჩვენს ჯოგს თავს დაესხა გარეული ძაღლების ხროვა. სასტიკი ბრძოლა გაიმართა. მე წიხლებით და კბილებით ვიგერიებდი მტერს. ძაღლები წამით შეჩერდნენ, ამით ვისარგებლე და გავიქეცი, მტერი დამედევნა. გავრბოდი უკანმოუხედავად; ათმეტრიან ნახტომებს ვაკეთებდი, მაღალ ბუჩქებს თავზე მვევლებოდი... როგორც იქნა ძაღლებს თავი დავაღწიე... მაგრამ ადამიანებმა შეიპყრეს...

— მერე, მერე!—წამოიყვირა სულწასულმა მაიმუნმა.

— მერე დაიჭირეს და ჩვენთან მოიყვანეს!—გასცა პასუხი თუთიყუშმა.

— ნუ დარდობ,—დაამშვიდა კენგურუ სპილომ,—ამ ზოოლოგიურ ბაღში შენც უზრუნველყოფილი იქნები.

45/135 . ა 48/195
ДИЛА 12
ГССП/БЛ?Ч В.КА
ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 2 მან.

ზაქარია შერაზადიშვილი

თვითმფრინავი

მე და დათომ გავაკეთეთ
თვითმფრინავის მოდელი,
სიგრძე ერთი ციდა ჰქონდა,
ფრთები — მტკავლის ოდენი.

საქალაქო შეჯიბრება
იყო მისი გამოცდა,
ცაში ისე ნავარდობდა, —
მთელი ხალხი გაოცდა.

ყველა უკან მოიტოვა,
ფრთებით ღრუბლებს ეკვროდა.
მისი ფრენის შედეგები
დაამტკიცეს რეკორდად!

ყდის მხატვრობა ეკუთვნის რ. ჯაში

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე.

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 10 Октябрь, 1952 г. Тбилиси, Ленина 14.
საბლიტგამი. რედაქციის მისამართი. თბილისი, ლენინის 14. 3 სართ. ტელ. 3-37-38
გამომც. შეკვ. № 330 სტამბის შეკვ. № 994|2316 ტირაჟი 15.000 უუ 06101